სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინდმეწარმე „სამისა“

# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 10.12.2024

უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და პრაქტიკის ინტეგრირების, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი და ინდმეწარმე „სამისა“ თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეიწყობს:

- აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ცალკეული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

**მუხლი 1**

1.1 მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.
1.2 მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და თავიანთი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო სემინარებსა და კურსებს.
1.3 მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.
1.4 ინდმეწარმე „სამისა“ შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის გავლას.
1.5 სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი პრაქტიკის დაგეგმვის დროს გაითვალისწინებს:

❖ პრაქტიკის ობიექტში სტუდენტთა ოდენობა არაუმეტეს ათისა (ერთჯერადად) ერთი სემესტრის განმავლობაში;
❖ პრაქტიკის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო კურსით დადგენილ ვადას;

❖ პრაქტიკის მიზანია სასწავლო პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება, ახალი კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
❖ პრაქტიკის კონკრეტული ვადები განისაძღვრება მხარეებს შორის მოლაპარაკებით უნივერსიტეტის შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე.
1.6 ინდმეწარმე „სამისა" თავისი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების პროცესში.

**მუხლი 2**

2.1 წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2 მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არ არის განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3 მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისისნი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

**მუხლი 3**

3.1 წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2 ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

სსიპ-ბათუმის ხელოვნების
სახელმწიფო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი 245628496
მისამართი: ბათუმი, ზ. გორგილაძის/
ვაჟა-ფშაველას ქ. N19/ 32
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge

პროფესორი თეიმურაზ კეჟერაძე, რექტორი

ინდმეწარმე „სამისა"
საიდენტიფიკაციო კოდი 61006074709
მისამართი: ბათუმი, ირაკლი აბაშიძის
ქ. N 2.
ელ. ფოსტა: bolkvadzemaia724@gmail.com

მაია ბოლქვაძე - ინდმეწარმე